

4-20

899.962-11087

საგზაობრივი, 1 იანვარი 1929 წ. № 1 (185)

ფალიძის მიხედვით

4-20

ფასი 15 კაპ.  
საბჭოთაო

# მეგობრობა

284  
1929

ნაბ. ნადარევიძის.



საბჭოთა  
ფალიძის  
მიხედვით



# „ტარტაროზი“-ს სახალწლო გილოცვაჲი

## კომპარტიას

არც მარცხნივ და არც მარჯვნივ გადახრა.  
გაქვს სწორი ხაზი გენერალური,  
დღეს საგარეო ფრონტზეც მაგრად ხარ,  
შინც მტკიცედ გიდვას დროშა, ალურისი..

## კომკავშირის

ძველი გვარდიის თუ ხარ შემცვლელი,  
ბრძოლაშიც უნდა წინაპარს შვავდე:  
მშენებლობაშიც გერჩოდღეს ხელი  
და ცოდნის კაუსაც ნორჩ კბილით მჭრავდე!..

## პროფკავშირის

ხარ კომუნისმის უბადლო სკოლა  
და თვითკრიტიკის მტკიცე ბერკეტი,  
დემოკრატიის გშენოდღეს უოლა,  
რისტოკრატი მოგწოდეს ვერც ერთისი..

## საბჭოთა მთავრობას

ხედები ახალ წლით ახალს არჩენებს,  
რაზმავ საბჭოთა დემოკრატიას,  
იცი, ეს შენს მტრებს უველგან აღელვებს,  
მაგრამ რომ მოგწოდენ, რა აბაღიათ?!.

## ს. მ. უ. ს.-ს, როგორც ინდუსტრიალიზაციის მისაპის

მაგისტრალური ხაზი გიპყრია,  
ზედ მემანქანეც ხარ ორთქლმავალისი..  
ღვედათ მოვევლე მაგ ჩარხის ტრიალს,  
მომჭრელი არის გულის და თვალისი..

## ქალაქის საბჭოს

წარსულში ბევრი გყავდა სექცია  
და საქმეებსაც ბევრსა სწვდებოდენ..  
არ სჭირდებოდეს წევრებს ლექცია,  
სხდომებს უკლებლივ რომ ესწრებოდენ!..

## ალმასკომს

ტერიტორია გაიფართოვე,  
აღმშენებლობის დაადგი მთები,  
არჩენებისაც სჩანს სიახლოვე,  
საქმიტაც უფრო დაიტვირთები!..

## უ მ ს ს

— „წელს ჩავიბარე სახლი, ურიცხვი,  
და ასე მოვსპე კრიზისი ბინისი“  
მაგრამ მეც მკვებარ ქოთნის ვარ ციცხვი,  
ვიცი ამბავი ტრაბახის ძირისი..

## მუშაკორკს

შენს ხელში არის მთელი ვაჭრობა,  
ჰყიდი: ზეთს, მარილს, ერბოს და კარაქს..  
საერთომ კერძოს თუ მთლად აჯობა,  
ჭკმევ, ასმევ და შემოსავ ქალაქს!..

## საბჭოთა თეატრს

კარგი საქმეა სპეციალობა,  
სჩანს, აქვს თეატრსაც სხვადასხვა დარგი:  
მომწონს ოპერის მუსიკალობა,  
წელს ერთიც დრამა ქუთაისის დარგი,  
მოზარდობასაც უყავ წყალობა,  
პირი სოფლისკენც მივიჩანს კარგი!..

## რუსთაველის თეატრს

მომწონს ნაბიჯი ანზორ ჩერბიშის,  
წელს ლიანდაგიც კარგათ გუგუნებს:  
ან „შინაურულ საქმეს“ ვინ გიშლის,  
ან საგარეოთ ვინ დაგიწუნებს?!

## სახელგამს

რომ ამრტო „თავის“ სახელს დაეცდო,  
ქართოლობაში თაბაბობობო

## მუშაკორკს

თვალი და ყური ხარ ჩვენი პრესის,  
ბიუროკრატებს გულს ხედები ეკლად,  
მრთგული გზირი საბჭოთა წესის,  
ამ ზამთრის სუსხსაც კი ხედები ცეცხლად!..

## ბიუროკრატს

მუშათა მტრებში შენ ხარ პირველი,  
რომ ან გდევს მუდამ ძველის ნათშები,  
მაგრამ არ გვრჩები დაუჭირველი,  
აღმოუფხვრელიც ვერ გადაგვრჩები!..

## გლეხობას

თუ გატყდა კავი, გაცვთა სახნისი,  
ტრაქტორს მოელის ჩვენი გლეხობა,  
ძველი დრო იყო არრის მაქნისი,  
ახალს დროს და წესს მისთვის ემხრობა!..

## სასოფლო - სამეურნეო კოლექტივებს

ერთობა გიხნის შენ გასაჭირში,  
შრომაშიც უნდა ის დავეხმაროს,  
ეცადე, რომ მაგ „შრომის კავშირში“  
ერთი „კულაკიც“ ვერ შეგეპაროს!..

## კულაკს

სოფლის ზობოლა, ჩასუქებული,  
ჯერ კვლავ სარგებლობს ჩვენის სისუსტით,  
მაგრამ კომუნა მოვა, ქებული,  
მოგიჭერს სალტეს მთელის სიზუსტით!..

# „გაუგებრობა“

ნახ. ტაბატაძის



— მი ამათი ვირაფირი გამიგია! ამბობდენ: ეს თვიტი





# ბარტაროზის ღია გარეთი ბაღდუნი წიგნი

ნახ. მარიაშვილ.

ბარტაროზის  
წიგნი

ბოლდუნიშვილმა განაცხადა: „ეს წელი (1928) იყო იმედების ვაცრუებისა და სურვილების გაწაფლების წელი“.  
(დეკემბრიდან).



ჩვენ გვიხარია ახალი წელი,  
რადგან ვიზრდებით და ვძლიერდებით.  
ჩვენ გვიმაგრდება, — თქვენ გწუდება წელი,  
ისეც ბებერი, უფრო ბერდებით.

წინ კალენდარი გადავიშლია, —  
მაგრამ ეს უფრო უარესს გიქადის.  
„ძველი ხელობა“ ვერ მოვიშლია, —  
კისერს მოიტუხ მიხვალ იქამდის.

აგიფანყდება ახალწიგნი  
და ფაფარს აპყრის ვის ტაღლა;  
(რას ვახდებიან მაი კენები“!?)  
ფართხალს დაიწყებ ბებერი ღაღლა.

ამ წელს შენ ხვდები და ეგებები  
გულში მრავალი ბოროტ განზრახვით, —  
მაგრამ გიმტყუნებს კვლავ იმედები  
და ვერ დასტკბები იმათი ნახვით.

ჩვენ გვიხარია ახალი წელი  
რადგან ვიზრდებით და ვძლიერდებით.  
ჩვენ გვიმაგრდება, — თქვენ გწუდება წელი,  
ისეც ბებერი, უფრო ბერდებით.

—მ. ს.



### გღვდღეებს

ვაი, ნახუქო ღაბაბო, ღიბო,  
დაგრძელებულია ხშირო ფაფარო,  
ან ეს მუცელი რით გავიტკიბო,  
ან ეს ფერდები რითი დაფარო?!

### ფოფოღიებს

ვითკიბოდით, როგორც მუთაქა,  
და აღსაქაბოდით ღაბაბო!

და კომსომოლმა ქმრებს რომ უთაქა,  
მას შემდეგ ჩვენი საქმეც წავიდა!..

### ცხოვრების დანარჩენ ნაშარ-წუშარს

არც თქვენი საქმე არის საქებად,  
თუმცა მოსძებნეთ აქა-იქ ხვრელი,  
მაგრამ გღვეთ ძველი შუბლზე ლაქებად  
და გპრეკებთ მუშათა ხელი!..



# საახალწლო საბარემო მიმოხილვა



თუ ვერ ვღალატობ ტრადიციას,  
დე, ნუვინ მძრახავს:  
ძველ და მიმავალს — კისრის ტეხა.  
სალამი — ახალს!

—:—

ვირის კუდია ეს ქვეყანა,  
არ დაგრძელდება,  
თუმც მოვლა მისი ამ ახალს წელს  
მეც მიძნელდება.  
ვიწყებ კელოვით, მისი პაქტის  
დღეს მოგონებამ  
მომისპო ფიქრი იარაღზე,  
პაპას ცხონებამ,  
და ნიუიორკს ხელსაწერად  
მიმეჩქარება:  
ისე მომძულდა ფანქრის სათლელ  
დანის ტარებაც!..

—:—

თუმცა, რა ვიცი, ეს ქვეყნები  
თავს რომ იურიან,  
განაიარალის საკითხში წინ  
ვერც კი იძვრიან,  
ისე ერთ ადგილს დგანან, როგორც  
ვირი, გაქირი:  
ვერც ცხენს სწვდებიან, ვერ გატეხენ  
ვერც უნაგირი  
სულ სმსმსმარი, როგორც ძვალი,  
ადგიათ ყელზე,  
თვითონ კი ტევა იარაღის  
არ უჩანთ წელზე!

—:—

ამ ხალხს წერილი ლიტვინოვმაც  
უძღვნა. ახალი,  
გამოიწვია მითქმა-მოთქმა,  
აყალ-მაყალი:  
„დემოგოგია, დემბაგობი  
სმსმსმარიო,  
არც სიტყვა გვინდა ჩვენ იმისი,  
არც ნაწერიო,  
განაიარალის საკითხში ჩვენ  
გვაქვსო მიღწევა:  
პარაგვაიზე ბოლივიის  
თუნდაც „მიწევა“!..

—:—

და რა ვიგონებ ცნობილს თათბირს  
აქ ლუგანოში,  
თითქოს მექისე ტანს მიზელდეს  
მე აბანოში,  
ისე მსიამობს მათი დ-ნჯი  
კილო და ტაქტი,  
რუმცა სმსმსმარს, რომ უღრენდენ,  
ფაქტია, ფაქტია!..

—:—

ღრენის ხსენებამ მომაგონა  
კანი აილ უდსკი,  
სმსმსმარს ცოტას უთვალთვალებს  
განა ეს წუწკი?  
სწყალობს ლევიცკის შულიგინთან  
მიწერ-მოწერას,  
ეტრფის ჩვენს ყელზე მტრული ზრახვიო  
დღღუტის მოჭერას,  
მაგრამ ამ ჯაბბა და მსოდენ  
ჩვენზედ ზრუნვაში  
არ შეირცხვინოს, მეფიქრება,  
პანმა უღვაში!..

—:—

ულვაშია მარცხი ბევრმა ნახა  
წელს ბუხარესტში,  
ფარულ თათბირზე ისხდენ ელჩნი  
დუნაის ნესტში  
ინგლის - საფრანგეთ - პოლონეთის,  
თვით რუმინეთის,  
შერჩათ ნიშანი: გულს — ავზრახვის,  
კულზე კი — „უესტის“!

—:—

ისევ თათბირი ლუგანოში  
აქ მაგონდება,  
ბრიან - ჩემბერლენ შტრეგემანის  
წინ, რომ ღონდება,  
— რეინს დავსცილითო — უყვავებენ:  
პაპა ცხონდება,  
ასოცდათორმეტ მილოარდი,  
მარკის მოღება  
თუ თქვენის ჯიბით ჩვენს ჯიბეში  
გადმოგორდება!..  
სცნოს ეს სატანამ და სიცილით  
ნუ გაგორდება!..

—:—

ყველა სმსმსმარს უღერებს მუშტს  
საკუთარ ბანით:  
ლონდონ „ტაიმსიო“ ქვეშ-ქვეშაობს,  
პარიზი — „ტაიო“,  
მაგრამ.. ჩუ, ეს დღეს რა ხმა მოდის

## რადიოს მოსმენა





# უხევედრა

ნახ. მარიაშის.

ბევრჯერ უსაუბრიათ ერთად ჩემბერლენს, ბრინანს და შტრენემანს მშვიდობიანობის შესახებ, მაგრამ მათ თათბირს შედეგი არასოდეს არ გამოუდგინებია. მისი ეხლანან ლუგანოშიც.

სიგელიძე  
გიგლიძე  
(განეთობიდან)



ჩემბერლენი, ბრინანი და შტრენემანი (მშვიდობიანობის ანგელოსს ჩუმად):—მშვენიერო, მამათი ნუ ენდობი, გატყუილმან. ჩემსავით არავის არ მოსწონხარ და უშვარხარ!

ავღანისტანით?

— „ინგლისს ავღანელთ სიკეთე სურს“!— გამოიცანიო..

სიკეთე სხვისთვის სხვას ვის არ სურს  
ამ ქვეყანაზე?  
მე ჭაეროპლანს ვადავაფერენ  
ქალაქ კანაში  
და სირიისკენ მინდა მისი  
ცხვირის ბრუნება:  
საოცარია კაცის ზვედრი,  
მისი ბუნება,  
საფრანგეთს შქონდეს დღეს „მანდატი“  
ამ ქვეყანაზე,  
არ ეხეოდეს იტალიაც  
მისთვის დანაზე  
და მრთა ლიგას არ უსვამდეს  
ამ კითხვას, მწარეს:  
„მომცემ თუ არა სამანდატოთ  
მე ამ „თბილ“ მხარეს?!“  
შეუძლებელი არის სხვაფერ  
ამის ატანა!  
მეც, ტარტაროშიც, ისე ვფიქრობ,  
როგორც სატანა!..

„თბილი“ და „სიბოლო“ ნავთის არის,  
ვიციოთ, თვისება!  
აქ, ამის თქმაზე გული ჩემი  
ღმერთით ივსება,

მომავლდება რა ცნობილი  
მე დეტრდინგი,  
ვისაც საქმაოთ გამურული  
აქვს ნავთით დინგი!  
„სტანდარტ ოილის“ აძლევს იგი  
წინადადებას,  
ნავთის ბაზრიდან ლამობს ჩვენი  
ნავთის გაგდებას!  
თავი ანებოს, ურჩევნია,  
თავისაგდებას!..

მე მევალომზეც, აღარ ძალმიძს,  
რომ არ ვსთქვა რამე:  
რა ჯობს? აბოქვე ძველი ვალი,  
ლაჯექ და სჭამე...  
მაგრამ კბილებმა რომ ვერ შესძლონ  
ამდენის კამა,  
მაშინ იკითხო თქვენ ამ ხალხის  
კბილების დამა!..

მა, მიმოხილვა სახალწლო  
მეც გავათავე!  
დღე, მემატიოს, ზოგი ვინე  
თუ გავაშავე!..  
მაგრამ არც მე ვარ ამ საქმეში  
საგრძნობლად „თეთრი“:  
რა იქნებოდა, მეტქვა მოკლე  
და უფრო მკვეთრი?!



**დღესასწაულების წინა დღეებში ყველგან ფუს-ფუსი და მზადებაა, მაგრამ ჩვენს რედაქციაში, რომ ამბავია, ამან შარისაგან, ასეთი არსად იქნება.**  
 მკითხველებს ალბად ახსოვთ გასულ წომერში ჩემი დავიდარება. სწორედ ასეთივე ხათაში გამაბა ტარტაროზმა ეხლაც.

**ჩედაქციაში** ისევ თათბირი გვქონდა „ტარტაროზი“-ს საახლწლო წომრის შესახებ.

— ჩვენი მიზანია ამ დღესასწაულებზე შევებრძოლოთ ლოთობას! — გველაპარაკებოდა ტარტაროზი თანამშრომლებს.

— შე გავიგე, რომ ამზ-ბა „საქართველოს ღვინო“ — და „სახსპირტის“ („გოსპირტ“) ინიციატორობით დაარსებულა ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგა, რომელსაც მხარს უჭერენ მიკიტნები! — დაიწყო „მოსხენება“ **აღლარაღლარასნამა**, რომელსაც „ახალ ამბების“ შეთხზვაში ვერც ერთი სოფლის ჭორიკანა დედაკაცი ვერ შეედრება.

— ლიგიდან ხერი არ იქნება! — წამოიძახა **ონისიმა**.

— უკაცრავად, მაგრამ ეს ლიგა „ერთა ლიგა“ არ განლაივთ, რომ მისგან ხერი არ გამოვიდეს! — განუმარტა **ნადირკა**.

— ჰოო, თუ კი მაგრეა, მაშინ სხვაა! — დაეთანხმა **ონისიმა** და თავისი მოკაუჭებული ჯოხი კისერზე ჩამოიკიდა.

— ჰოდა იმას ვამბობდი, — განაგრძო ალოარ-აღლარასნამა, — რაკი ამზ-ბა „საქართველოს ღვინო“ და „გოსპირტი“ ლოთობის წინააღმდეგი არიან, ამ საახლწლოდ ცხოვრებაში გატარდება დღევანდელი ლოზუნგი: — ნეტარ არიან მორწმუნენი! — ჩაუნისკარტა „ძირს ლოთობა“.

**თ-იამ** სახარების სიტყვებით. (ახლახან გამოვიდა მისი „ახალი ალტჰმა“ **დემიან ბედნის** თქმა).

— ამხანაგო ს. თ-იამ, თქვენ ნუ ხართ „ურწმუნო თომა“! — ჩაურია **გადარაუული**.

— მე თომა არ მქვია; თომა ჩვენი რედაქტორია?

— კი, მაგრამ რაში გამოიხატება მათი „ბრძოლა“ ლოთობის წინააღმდეგ? — შეეკითხა „მომხსენებელს“ სარკაზმული ღიმილით **ჰაზირა**.

— რაში გამოიხატება და, იმაში გამოიხატება, რომ, აი, ხომ ხედავ ამ განცხადებას?..

— რაკი მაგრეა, კეთილი და პატიოსანი; ორივე წარმოება მადლობის ღირსია. მაგრამ საქირთა მკირეოდენი შესწორების შეტანა თქვენს გამოთქმაში, სახელდობრ სე: „ან-ბა“ „საქართველოს ღვინო“ და „გოსპირტმა“ დაარსეს ლოთობის **ხელისუფლები** ლიგა... ეს მართა ჩემი შესწორება; სხვა არაფერია! — სთქვა **ონისიმა** დაჯდა, თუმცაღა ლაპარაკის დროსაც (როცა იღვა) არავის შეუმჩნევია.

— ამხანაგებო, — გაისმა ტარტაროზის „სირინოზის ხმა“ ისე მძლავრად, რომ ქერში ლუსტრამ ქანაობა დაიწყო. — ჩვენ აქ უნდა დავადვინოთ, რომ ახალ წლიდან ყველა ჩვენგანი თავს ანებებს ღვინის სმას, რათა ამით მაგალითი მივსცეთ სხვებს.

— ვაი, რა მეშველება! დავიღუპე კაცი! — გაიფიქრა **სხავირ-ბან-შეიხმა** და ტარტაროზს შეეკითხა: — თუ ღვინის სმას თავი ვერ გავანებეთ, რა სასჯელი იქნება?

— გამოირიცხება ჩვენს რიგებიდან.

— ამხანაგო ტარტაროზო, — წამოყუდდა ზეზე **ონელი**, — გახოვთ თანამშრომელთა სიაში ჩემი სახელი და გვარა ამთავიდანვე წაშალეთ, რადგან თავისი იმედო არა მატკა.

— ჩემიც!

— ჩემც!

— ჩემიც! — გაისმა უმეტესობის ხმა.

— ერთი ამით დახეთ?! სად ვეძებდი ძაღლის თავს და სად ყოფილა დამარხული! — ეს ისეთი გაბრაზებით სთქვა ტარტაროზმა, რომ ყველა შიშმა აიტანა.

**ისეღმა** თავზე ხელი მოისვრა და სხვებსაც შეხედა — მართლაც ძაღლის თავები ხომ არ გვებიაო, — და როცა ყველას თავზე მშვიდობა დინახა, ტარტაროზს მორიროლებითა და მობოლიშებით მიმართა: — ვისუმრეთ, ამხანაგო ტარტაროზო, თორემ ჩვენ ყველანი ვუერთდებით თქვენს აზრს და ახალ წლიდან ჩვენი პირი წვეთ ღვინოსაც ვერ ნახავს. — და შეეკითხა ამხანაგებს: — ხომ ასეა, ამხანაგებო?

— რა თქმა უნდა მასეა! — დაეთანხმა ყველა.

— რა დროს ხუმრობაა?! აქ სერიოზული საკითხია.

— გაცხარდა მხატვარი **დონი**, — მე მოვიტხოვ: არა თუ მარტო ჩვენ, ჩვენი ოჯახისწევრებსაც ავუკრძალოთ ღვინო, რომელიც ალკოგოლია და ალკოგოლი კი ადამიანს სწამლავს.

— რა „სული წმინდა“ ამბობს?! — წამოისროლა რეპლიკა **ტომსინმა**.

— აბა ნახავთ, თუ არ გავატარო ცხოვრებაში ჩემი სიტყვა.

— „საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ! — თითქოს თავისთვის, სთქვა **ს. თ-იამ** იმავე სახარების სიტყვებით.

— მაშასადამე, ყველა თქვენგანი თვალყურს უნდა იღვენებდეს, რომ ლოთობას ადგილი არ ჰქონდეს ამ საახლწლოდ. საქირთა საიჭიოშიაც გაიგზავნოს კაცი, რომ იქიდანაც მოიტანოს ამბავი ლოთობის შესახებ. ვის უნდა იქ წასვლა? — იკითხა ტარტაროზმა.

— ამხანაგებო, **შემქს** ნუ შევეცილებით. მან იცის იქაური ამბები, გამოჩვეულია, დღოისწორსაც ის იყო იქ! — შემოიტანა წინადადება **პ. ოგოლა**.

— ვერ მოგართვი ბადრიჯანი! — ველარ მოვითმინე და წამოვხტი. — თუ კარგია თვითონ შენ წაბრძანდი.

— მშიშარა! — უკბინა **ჰინზარამა**.

— ერთი შენ ყოფილიყავი ჩემს ადგილზე?! ძლივს-ლა მოვახერხე აქეთ გამობრუნება!

— რა მოგარბინებდა აქეთ? დარჩენილიყავ იქ! — წამოიძახა **სინემატო**.

— შენ დარჩი იქ თუ კარგია... ამხანაგო ტარტაროზო, მე იქ კიდევ ვერ წავალ!

— ევგენი, — უბრძანა ტარტაროზმა რედაქციის შიკრიკს, რომელსაც სკამზე ჩამოსძინებოდა, — გაუმზადე **შემქს** ჰაერო-ველოსიპედი!

**ამხ-ბა**

**საქართველოს**

**წმინდა**

**სახსპირტი**

**(მოსსპირტი)**



**ანვლის თაჰის**

**ღვინოებს**

**გორიანთხათ ყვავა**


**სომხურადსომხურად**



— ემ წუთში! — თვალების ამოფშვნიტით სთქვა ევ-  
გენიმ და გარედ გავარდა.

— რაო რა, სთქვა?.. ჰო, ისო! — მოაგონდა დერეფან-  
ში ევგენის რაც ტარტაროზმა უთხრა და საწყობში შე-  
ვიდა.

— ახალ წლის ღამით სრულ თორმეტ საათზე, როცა  
ილმასკომის საათი რეკას დაიწყებს, ქალაქში უნდა დაბ-  
რუნდეს. მე მოედანზე დაგხვდები! — მითხრა ტარტარო-  
ზმა და თათბირი დამთავრებულად გამოაცხადა.



**რამდენიმე წუთის შემდეგ საიქიოსკენ მიეფრინა ე-  
დი და ვფიქრობდი:**

— რა ახირებული კაცია ეს ტარტაროზი?! საიქიოში  
ლოთობა როგორ იქნება?!

ამ ფიქრებით უკვე სამოთხეში ამოვყავი თავი და  
ერთ მარანზე გზის ახლოს შევამჩნიე თავყრილობა ჩოჩ-  
ქოლი.

მივედი და ჩემს წინაშე შემდეგი სანახაობა გადაი-  
შალა:

მართლმორწმუნე ნოე (გვარი არ ვიცი) გაღვიწილი  
ვგლო და დედისშობილა გორავდა ტალახში. თავზე დას-  
დგომოდენ ვაჭიშვილები და დაცინვით ეკითხებოდნენ:



— ნოეჯან, ეგ რა მოგხვლია?

— „ძირს ლოთობა“-ო, რომ გაიძახიან, მეც ასე მო-  
ვაქეცი — ძირს ვგდივარ.

— ტანზე ვინ ვაგატიტლიკანა ასე?

— ალბად ქურდებმა გამზადეს და მომპარეს ტანსა-  
ციელი!

— რატომ დაითვერი ასე?

— მაყარიჩი გადავიხადე, რომ ღმერთმა გადამარ-  
ჩინა მსოფლიო წარღვნას!

— აი, პირველი ლოთი და ლოთების მამამთავარი! —  
გსთქვი ჩემთვის და გზა განვაგრძე.

**უმრიდან მაყრული მომესმა.**

როცა მიეუახლოვდი, მართლაც ქორწილი აღმოჩინ-  
და.

**მთვრალი სტუმრები მღეროდნენ: ჩარქნულნი  
ტოლუმბაშო ჩანალო, გიბლირთქა**

**ღვინო გვასვი ჩქარჩქარაო.**

უჩინრად ჩავფრინდი ეზოში.  
მასპინძელი სასოწარკვეთილებმაში ჩავარდნილიყო  
და თავისიანებში მოსთქვამდა:

დავიღუპე კაცი.. მომეჭრა თავი: ღვინო გამომელია?

— ნუ გეშინია, — ანუგეშა ღვთისმშობელმა, რომე-  
ლმაც ყური მოჰკრა მასპინძლის წუწუნს და მასთან მოვი-  
და, — ჩემს შვილს, იესოს ვეტყვი და ღვინოს გააჩენს! —  
და ღვთისმშობელმა ხელი დაუქნია ქრისტეს, რომელმაც  
ის-ის იყო ყანწი გამოსცალა და ალავერდი გადავიდა.

— ნუ იცი შენ ახირება და ჩემი შეწუხება! მე ვსვამ  
ღვინოს, თორემ შენ ხომ არა?! რა შენი საქმეა რამდენს  
დავლევ?! — უსაყვედურა მოსვლისთანავე ქრისტემ დედას.

— დაიცა, ბიჭო; მე რას ვეუბნები და შენ რას მიუღ-  
მოედები?! ამ ჩვენს მასპინძელს ღვინო შემოაკლდა. თუ  
როგორმე ღვინო არ გააჩინე, რა შავ ჭირს ჩაცეცხლავ მაგ  
პირში? უშველე რამე!

— შენი ჭირიმი, შენ გენაცვალე, მიშველე რამე. სი-  
რცხვილს ნუ მაქმევ, ნუ მომჭრი თავს ხალხში. ღვინო გა-  
მომელია. ეს რომ სიძემ გაიგოს. ისეთი თავმოყვარე კაცია  
რომ გაბრანდება და ქალს მიიტოვებს. შენი ჭირიმი, მი-  
შველე! — ევედრებოდა მასპინძელი ქრისტეს.

— დაუმახე მერიჭიბეებს, რომ აავსონ დაცარიელე-  
ბული ჭურები წყლით! — გასცა განკარგულება ქრისტემ,  
რომელიც სიმთვრალის გამო ბარბაცობდა და ფეხებზე  
ძლივს დგებოდა.

მერიჭიბეებმა საჩქაროდ აავსეს წყლით ქვევრები.  
ქრისტემ წვერ-ულვაშზე ხელები გადასხვა და ღმერთს  
შევედრა:



**ღმერთო, ღვინო შემოგავაკლდა,  
მასპინძელი სტირს საწყალი.**

**წითელ ღვინოდ გარდაჰქენი,**

**ამ ჭურებში რომ არს წყალი.**

შემდეგ მიუბრუნდა მერიჭიბეებს და უთხრა: — ჩამო-  
უდგით ყველას ჩაფებით. ღვინო ბევრია! — და ისევ წავი-  
და სუფრისაკენ.

მა'პინძლ ს სიხარულსა სიზოვარი არა ჰქონდა.

— ვაჰ! ეს რა ყარაიოღლი გარზე ყოფილა?! — გა-  
მიკვირდა და ასევე გზა განვაგრძე.





— ნიბამ ვისია ეს სასახლე? — ესთქვი, როცა მშვენიერი შენობა დაეინახე. — უნდა გავიგო აქ ვინ ცხოვრობს. — და უჩინრად შევიპარე პარახმხანაში, სადაც იჯდა მაჰმადი და მას გარშემო ქალები ეხვია. მაჰმადს სუფრა გაშლილი ჰქონდა და ღლინებდა.



კახური ღვინოვ, ვარ შენი მსმელი. გინდ იყო, თეთრი, და გინდ წითელი.

— სანიძლას დავდებ, თუ ბუდაც მსმელი არ იქნება! — გავიფიქრე და ჩემი გზა განვაკრძე. ბუდას სასახლეში ძალიან გამიჭირდა შესვლა, რადგან კარებზე ინგლისელი გუშაგები იდგნენ. მაგრამ მაინც მოახერხე შეპარვა. გავიარე მთელი ლაბორინტი და ბოლოს შევედი ბუდას სამყოფში.

გამართლდა ჩემი წინათგონობა. ბუდა საკმაოდ ბედნიერი დასხვდა და კიდევ თხოულობდა:



თქვენი ღმერთი მე ვარ ბუდა, მომიტანეთ ღვინით გულა.

სწორედ ამ დროს მომესმა აღმასკომის საათის ერთჯერ დარეკა. გამოვიხედე და დავინახე: თორმეტის ნახევარი იყო. უკვე დრო იყო ჩემი დაბრუნებისა და მეც აქვთვენი გამოვეყოლდი.

**ცობა-ლა** აკლდა თორმეტს, როცა ტფილისში ჩამოვფრანდი. ტარტაროზი მიჩნეულ ადგილს დამხვდა. გიგლიორთქას ინგა-ინი ჩავაბარე. ქუჩაში რამდენიმე მთვრალი გამოჩნდა. მივეუბლოვდით და ვიცანით: **ისელი, სეზიკა-გენ-შინი, ალდარ-ალდარსან, სინემაბო, პ. ოგოლი და შინეპარი.**

— ეს რა ამბავია? ეს არის თქვენი პირობა? — შეუტრია ტარტაროზმა, და აწორედ ამ დროს აღმასკომის საათმა რეკა დაიწყო.

— დავთვალთ რამდენჯერ დარეკოს: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10 11, 12... ბასტა! ამიერიდან ჩვენ აღარ დავითვრებით. ჩვენი პირობა ძალაში შედის ახალ წლიდან, ე. ი. ამ წუთიდან. ჩვენ დავითვრებით 1928 წელში, ეს იყო შარშან, გასულ წელში. ჩვენ პირობა არ გავვიტყვი... ამხანაგებო, მივეულოცოთ ტარტაროზს 1929 წელი და ვუსურვოთ მას ამ წელში აღეგვას მიწის პირისაგან ყველა ჩვენი მტრები! — და ისელი ჩაეხვია ტარტაროზს. მას სხვებმაც მიჰბადეს. ტარტაროზი იცინოდა და მშობლიური სიყვარულით ამბობდა:

— მართლაც ღიდი ოხრები ხართ! თქვენც გილოცავ ახალ წელს და გისურვებთ კიდევ უფრო წარმატებით ბრძოლა ჩვენი მტრების წინააღმდეგ.

**პირველი** საათის 15 წუთი იყო გასული, როცა მარტოდ სახლში მივედი.

მოსახვევში შევამჩნიე, რომ ღვინის სარდაფში სიჩაჯები კვარტებში ღვინოს ასხამდნენ; თანაც წყალს ბლომად ურევდნენ.

— მეტი არ მოგვივიდეს, თორემ შეამჩნივენ! — ეუბნებოდა ერთი სირაჯი მეორეს.

— შე კაი კაცო, თუ კი ქრისტემ წყალი ღვინოდ აქცია, ჩვენ ღვინო რომ წყლად ვაქციოდ, რა დაშავდებოდა? თანაც, ხომ იცი, ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ლოთობას. წმინდა ღვინო კაცს დაათვრობს, წყალნარევი კი მაინც დამაინც ვერ მოერევა! — ეუბნებოდა მეორე.

ჩავედი და ორი კვარტი ღვინო ვიყიდე.

— ჩვენების უინაზე ამ ორ კვარტ ღვინოს მარტოდ მე დავლევე და ისე დავითვრები, რომ ყველაფერს დავამტვრევ სახლში! — მივედი და ვფიქრობდი ჩემთვის.

მოსახვევიდან ვილაც მთვრალი გამოვიდა. ერთ კედელს რომ დაეჯახებოდა, კედელი ისეთი სიმძლავრით უკუაქცევდა, რომ მეორე მხარეზე მიეხეთქებოდა, და ასე სულ. დათვივით ბუტბუტებდა.

ვიცანი. ეს ჩვენი მტახვარი **ღონი** იყო, რომელიც თათბირზე ყველაზე უფრო მეტად ილაშქრებდა ლოთობის წინააღმდეგ.

— რა ვაღრიალებს დაჭრილ დათვივით? — შეგვიკითხე და პირისპირ დავუდექი.

— ჰაა, შენა ხარ ზმუკი, ჩვენი „ძმა“? — და ექსპროზიტად დაიწყო სიმღერა:

ჩემო ძმაო ზმუკო,  
გიახელი სუკო.  
თუ გინდ გცემო ტუკო, (კები)  
დავლევე, არის თუ კო!

— საიდან მოდიხარ?

— ჩვენი „ძმები“ არ შეგხვდენია?! ერთად ვიყავით... ამ უსინდისობაში დამტოვეს; სუფრაზე ჩამომძინებოდა... ეს რა გაქვს ხელში?

— ღვინოა!

— ორი კვარტი?!

— ჰო, ორი კვარტი.

— ფუი, შენს კაცობას, ორი კვარტი ღვინო რას გეზამს საახალწლოდ?! ორ ფუთ ღვინოს მარტოდ მე დავლევე შენსას! — და უცხად გამომტაცა ხელიდან ორივე კვარტი, რომლებიც ერთმანეთს მიაფშვებნა და სთქვა: — თანაბარი ძალის ყოფილა ორივე! — გადისარხარა და სიმღერით გაზას გაუდგა.

**ჩემსაშით** პირნათლად მგონი ტარტაროზსაც არ ექნება შესრულებული ჩვენი საახალწლო პირობა.

ჯმუკი.





# კალანდრა

# საკურთხეველში

## გურული სენა

ნახ. ტაბატაძის.

ისე დეირღვა ჩემი და შენი ორგუ-  
ლის და ავის მდომელის ძვალი და  
რბილი, რავეც იგი 1928 წელიწადო  
დეირღვა და გათავდა.

დადგა ახალი წელიწადი, გაგვი-  
თენდა ახალი კალანდა და მეც ავ-  
ჯახრიკდი, ძველებურად ავბრუნტ-  
რული, ახალი წლის იმედი მომეცა.  
ქე ვიცი მარტუი ენის რაკუნთი არა-  
ფერს არ მომიჯანს, მარა მინც ერთი  
დიდი გოდორი სხვადასხვანაირი ნა-  
ჭერით გავტენე. ჩემი საკალანდო ნა-  
ტერა მარტუი ჩემი მეზობლებიზა-  
გურულებიზა მინდა.

ყველა გურულს გასურვებდი მე-  
ორი კალანდას მინც ქოსოდეს შინა-  
ური მოყვანილი საკალანდო სახაჩა-  
პური და ჭაჭუტაი, ღვინო და  
ჭათამი, ნიგოზი და ჭათამის შესაკმაზი  
სუნელი და შინაური ნალიის სიმინ-  
დით გასუქებული ღორი... ყველას  
ყოლოდეს ისეთი შინაური აფხანაკი,  
ცოლი, რომელიც არც იუკადრისებს  
და კიდევ შეიძლება ყველა აგინის  
; ეთებას, მარა ისე, რომ ზედ კორ-  
ცხალი არ დააყაროს, ფილში არ ჩა-  
გნაყოს, წყველა-კრულვით ყურა  
არ გამოგბჟუნოს და რაცხა მოგიტა-  
ნოს, ტკბლად შეგაჭამოს, „ზედ წა-  
გენკალა“ არ დააყოლოს.

ჩვენს მთავრობას ვუსურვებდი,  
(დიდ მთავრობას ვინ შეკადრებს, ში-  
ნაურს მოგახსენებთ), ჩვენივე შემწე-  
ობით ყველგან იმისანა გზები გიეკე-  
თებოს, რომ მის გამოცვლამდი მა-  
ინც ევარგებოს, სეფეისთანა გაქუ-  
ცული და გაღლეტილი კაცი თუ კი-  
ღევ სადმე დარჩა, ყველაი ალაიაში  
გიერთნებოს... „სხვისას ჭამა მიზა-  
რია. ოდელია ოზობოიო“ ხალხი ოზო-  
ზოია თაეად - აზნაურებს უნდა გაყ-  
ვეს.

ჩვენი განმანათლებელ მასწავლებ-  
ლებს ვუსურვებდი ჩვენი ბაღებიზა,  
წიგნს გარდა მუშაობაც ესწივლე-  
ბიოს.

კულტურულ სექციებს ვუნატრე-  
ბდი ამ წელიწადში თითო სოფელში  
თვეში თითო ალევრო - დალეგროს  
მეტი არ გაიმართოს.

ტყის მცველებს ვუსურვებდი  
ყველას თვალეზი დაფსებოდა, იქნება  
მაშინ ბრმები ვინმეს შესცოდებოდა  
და ტყეი ყრ. გადიეკაფენ უბაეოთ და  
უპრაგონოთ.

ვაუებს კი ვუნატრებდი მათი ბე-  
ლადი ვალიკო ვაშაკიძისათვის მუშა-  
ობას და თვითეულს კვირაში თითო  
ცოლი შიერთოს.

პიტნა



ეს ღვინო მისი ჭირიმე  
დამისხი, დამალევიწე

უგები გავმხიარულდემ,  
უმიხოდ მუღამ ვსტირი მე.

## გაკოტრებული ვაჭრის სიმღერა

მას უხაროდეს  
ახალი წელი,  
ენც ამ ცხოვრებით  
აუა ღონდება;  
მე კი შავ ფიქრებს  
ვერ ვავუძელი,  
ძველი დრო მტანჯავს,  
რომ მაგონდება.  
ვერ ავიტანე,  
„ნალოგი“ მძიმე,  
ერკობმა მომპოო  
გამატილა;  
გამხდარ ლოყებზე  
ცრემლები მცვივა  
და გულს მაჩნია  
მწველი იარა.  
მას უხაროდეს  
ახალი წელი,  
ვისაც თანა სდევეს  
ბედი, კეთილი;  
მე რაღა დამრჩა?  
დავთრები ძველს  
და მალაზია,  
ვამოკითხე...

გავყადე, რაც კი  
მქონდა „მებელი“,  
ვერცხლოს ქამარი,  
ხალიჩა, ფარჩა,  
ყველს უნდა ვიკრა  
სამართლებლი  
მითხარ, უბედურს  
სხვა რაღა დამრჩა?  
მას უხაროდეს  
ახალი წელი,  
ვისაც ბინა აქვს,  
უბედ ნაგები;  
ჩემს ოთახში კა  
დოლსა მართავენ  
გულმოსაკლავათ  
ვირთხა-თაგვები.  
დილით ჩაის ვსვამ  
ნივრით და ხახვით,  
სადილათ სხვასთან  
მიყვარს სტუმრობა;  
მაჯრამ გაძლომა  
ჩემნაირ ხალხს,  
თქვენ არ გეგონოთ,  
ძმაო, ხუმრობა,

ვორბა



# შ ე ხ ვ ე ლ რ ა

გაფუქდა ხალხი.

ყველა იმას ცდილობს როგორმე გაგაბას მახეში. საკმარისია ერთი წუთით უკლო სიფრთხილეს, რომ მტერი უკვე ზურგს უკან გიდგას და ლახვარს გცემს ზურგში.

ღვას ამას წინად ივლიან ბედოური რუსთაველის გამზირზე და „ზარია ვოსტოკა“-ს შენობას მისჩერებია, ნეტავ გაისად დამთავრდება თუ არაო.

უყურებს ასე და, რა თქმა უნდა, შესაფერ ფიქრებშია გაართული, რომ უცხრად ყურში ქალის გამწყრალი ხმა ჩამოესმის:

— არც ამდენი ხუმრობა ვარგა, ძამია... ჩაგდეთ ბარემ ფულიო!

— რა ფული?... რისი ფული?... ჩამოვარდა ციდან დედამიწაზე ივლიანე და ხედავს: წინ ყულაბიანი ქალი-შვილი უდგას და უცდის, როდის ჩააგდებს მის ყულაბაში ევლიანე ფულს.

— წამიწყდეს ყველაფერი თუ მქონდეს...

— მაშ რალად მიმაკვრევიანეთ ეს ნიშანი!...— გაცხარდა ქალიშვილი და ნიშანზე უჩვენებს, რომელიც სწორედ მაშინ მიაკრა გულზე ივლიანეს, როცა უკანასკნელი შენობას მისჩერებოდა.

— ჩემმა მზემ არა მაქვს..

— მაშინ, ნება მიბოძეთ, ობისკი დაგარტყათ, და რაც აღმოგაჩნდებათ ჩვენი იყოს...

რალას იზამდა ივლიანე, აიღო და ჩაავლო მანეთიანი, (მზეს მხოლოდ ხურდაზე ფიცულობდა).

აი, ასეა თუ ყურადღებით არა ხარ კაცი.

ყველა იმას სცდილობს როგორმე უესტი გამოგაბას. ეხლა კიდევ ეს ახალი წელი, მისი შეხვედრა, შეგებება და სხვა.

არ გვინახავს ეს ახალი წელი, თუ რაშია საქმე?..

გვინახავს, ამ დროშიაც გვინახავს და ძველ დროშიაც გვინახავს.

ჩიჩილაკიც დაგვირეცია ქუთრის თავზე, მეგვლიელიც გვყოლია, მეგვლიელათაც ვყოფილვართ, თოფიც ვაგვიზვრია და ბოთლებიც დაგვიცლია.

გვინახავს... ყველაფერი გვინახავს. დღეს კი სულ სხვა დროა.

რა დროს ახალწლის შეხვედრაა, როცა გაცხარებულნი კამპანია მიდის ღვინის სმის წინააღმდეგ.

მაგრამ ცოტაა კიდევ შეუუნებელი ხალხი?... რამდენიც ვინდათ. აი მაგალითად, სულ სამი დღის ამბავია.

ზის იგივე ივლიანე ბედოური სამსახურში თავის მუგოდსთან და უჩხაკუნებს ჩოთქზე — სახაზინო ქონებას აღრიცხვას უშვებს, რომ მეზობელ განყოფილებიდან შემოდის სოსიკო ყუნწულიანი და ისეთ სიტყვებით მიმართავს რიცხვებით გაბრუნებულ ივლიანეს, რომლებიც მხოლოდნელი იყო ამისთანა შეუგნებელი პიროვნებისაგან.

— ბიჭო, ვიცი პრანციბილურად წინააღმდეგი ხარ ახალწლის შეხვედრის, მაგრამ ერთ ადგილას ვარ დაბატებული და რომ არ წამომყვე, დამარტყი მაგ ჩოთქი ბარემ თავში და გამათავე, აქვე!.. სულ ერთია, ვაისად მე აღარ მეცხოვრება!..

— არა ძმაო, მე თქვენნი თავი არა მაქვს... დღე შეხვედენ ისინი, ვისაც კიდევ არ შეუგნია, თუ რა დამღუპველ გავლენას ახდენ ასეთი შეხვედრები მშრომელთა ბიუჯეტზე...

— იცოდეთ, არიგებდა სოსო ივლიანეს, ცოტა ამაყად დაიჭირე თავი, თითქოს არც ჩვენ ვართ იმათზე ნაკლები, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით...

— დარდი ნუ გაქვს... მაგისთანები გამიცურებია!.. სოსიკო ყუნწულიანმა გულიანად გადახარხარა.

— აბა, კაცი, სიმართლით როდემდე უნდა ვიცხოვროთ... მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ ათი საათიც არ იქნებოდა, საზოგადოება უკვე შეკრებილი იყო: და გასურებული ნარდის თამაში ჰქონდათ.

ივლიანემ მოწიწებით ჩამოართვა ყველას ხელი და ცოტა ნაწყენი დარჩა, რომ საზოგადოება მხოლოდ ახალგაზრდებისაგან შესდგებოდა.

— ჯელები კი არიან, მაგრამ იცი რა ხალხია... ერთი კალმის მოსმით ქვას აპობენ... შეხედეთ, როგორ უბრალოდ აცვიათ, ვერც კი იფიქრებ, რომ ესენი... მსხვერპლ დაწესებულებებს უდგინს სათავეში... მათ... მათ... მათ... რიანს ამჩნევ... იცი, ვინ არის მაგი?... ერთი დიდი ტრესტის თავმჯდომარეა... სხვათა შორის. ცოტა ახლოს დაიჭირე მასთან, ამბობენ, სამართველოში ახალ განყოფილებას ხანის და შტატს კრებსო...

ცოტა ხნის შემდეგ ივლიანე და ქოჩორიანი უკვე მეგობრულად ბაასობდენ.

— ანგელოზია... ნამდვილი ანგელოზია... ფიქრობდა ივლიანე, სრულებით არ გავს დიდ კაცს... ახ, ნეტავ ჩვენი გამგეც ასეთი იყოს.

ანგელოზიც არ რჩებოდა ვალში.

— მე თქვენ იმწამშივე მომეწონეთ, რა წამშიაც დაგინახეთ... ისეთი სიმპატიური სახე გაქვთ... არაჩვეულებრივად...

— რასა ბრძანებთ?... წაილულულა ივლიანემ.

— დედა ნუ მომიკვდება!.. თქვენ თვითონ დამემოწმებით, თუ რა ძნელია დღეს სიმპატიური ადამიანის პოვნა...

თედოს გულში რალაც გადაბრუნდა.

— ძალიან... ძალიან ძნელია... ასში შეიძლება ერთი იყოს...

— ნეტავი ათასში კი იყოს... ცხოვრება წინ მიდის, დულს... აუარებელი სამუშაოები რჩება და კაცი ვერ გვიშოვია... არ არის...

— დიან, ძალიან ცოტაა...

— წარმოდგინეთ ჩემი მდგომარეობა... წამალივით მჭირდება რამდენიმე გამოცდილი მუშაკი და ვერ მოიგვინია... ვინც მომწონს, ყველა საქმეშია, როგორც მაგალითად თქვენ, ისე ხომ ბირჟიდან არ მოვერთავ ხალხს...

— რა თქმა უნდა.

საერთო ხმაურებაში უკვე თორმეტი საათი სრულდებოდა.

— მართალია — აჩქარდა ქოჩორა, — რას იტყოფო, რომ თქვენ მე სამჯერ მეტი მოგცეთ, ვიდრე იღებთ. და გთხოვით ჩემთან გადმოსვლა?... თქვენ სწორედ ისეთი კაცი ხართ, როგორსაც მე ვეძებ... მაშ, თანახმა ხართ?... ოხ, რა მოხარული ვარ... გმადლობთ, მილიონჯერ გმადლობთ...

ერთი წუთის შემდეგ ყველანი ივლიანეს ულოცავდენ, მაგრამ ყველაზე უფრო გახარებული სოსო იყო.

— ყოჩაღ, როგორ ხელად მოაგვირისმტე საქმე... მაგრამ, იცოდეთ, მაგი ცოტა სხვანაირი კაცია, ვაი თუ ვაღბოთქვას...

— შე კაი კაცი, რა ვასაკვირია, მე ვიცი გამგე, რომელმაც ხუთჯერ გადათქვა თავისი რეზოლიაცია... მაგი არაფერია... ფული თუ გაქვს ჯიბეზე — ეხლავე რესტორნისკენ გავკურცხოთ და ერთი კარგად შევახუროთ... მე რე ვნახოთ...

— ვაი, თუ არ წამოვიდეს და არც დალიოს! — აღელდა ივლიანე.

— შენ მე მაცალე!.. აბა ჩქარა... სანამ არ ვადუთოქვამს!..

მაღე მთელი საზოგადოება ძახლობელ რესტორანში იხსნდა და ახალმა წელმა საერთო მხიარულებაში მოაკაქუნა კარზე.

შეხვედრა ძველებურს არ ჩამოუფარდებოდა, და ნაკლები არც ეკადრებოდა ასეთ ბედნიერ წელს.

მესამე დღეს ყუნწულიანი ასე ანუგეშებდა გაბრაზებულ ივლიანეს.

— საწყენად არ დაგჩჩეს, ბიჭო!.. გეზუმრეთ... სამაგიეროდ მომავალ წლს შეხვედრა ჩვენს კისერზე იყოს გესმით?... კარგი ხუმრობაა?..

აი, ასე იცის თუ ფრთხილად არა ხარ ადამიანი...

გაფუქდა, წახდა ხალხი.

ყველა იმას ცდილობს რამენაირად უესტი გამოგაბას

სინამაძრ.




# ს ა ა ს ა ლ ო ლ ო ს ა რ უ ქ რ ე ბ ი

„ბელას“-ს

საბურო ტრესტს

ქარაიხული  
ბიბლიოთეკა




გინათებს ქალაქს მძლავრი ზაშენი და ღამით მთვარეს შენ ეჯიბრები. გაქვს მუშაობის ცუდი შენ წესი, ათასი ხვრელი და ჯებირები.

შენს ლაბირნტში გზას ვინ გაიკვლივს თუნდ ხელში შქონდეს ევროპის რუკა. ვინც შენს გაყვანას გულში გაივლევს, შენს შიშით მიაქვს სურვილი უკან.

ეს ჩირაღდანი გზას გაგინათებს მაგ შენს ქაოსში და ბურუს-ბნელში; აბონენტებსაც ბლომად შეგმატებს ამ ათას-ცხრაას ოცდა-ცხრა წელში.

„შქს“-ს




გყავს აგენტები შენ ბევრზე ბევრი, მათ უყვართ სხვისი ბინის დალუქვა. ფეხზე გკიდია კავშირის წვერი, მათ საჩივარზე შენა ხარ გულქვა.

მართლაც შქრაში ხარ თავის-თავად, დამყავდა ხაქმე შენთან მრავალი. გამოვადგება მათ დასაძრავად ძღვევამოხილი ეს ორთქლმავალი.



მიკვირს ამგვარად რამ გავაშეშა! იღვიძებ ზამთრით, ზაფხულში გძინავს. რალა ტრესტი ხარ, რომ არ გაქვს შეშა და ჩვენთან ერთად სიცოცხე გყინავს?! ამ ბიბლიოთეკა ბუჩქს მოგიძღვნი ახლა, „იწვიხ ეს ბუჩქი და არ იწვიება“. ნეტავ ამ ბუჩქთან შენ დაგახსნა, — გექნება მარად სითბო და შვება.

რეჟინოტრესტს



არ გაქვს ზამთარში სარგო კალოში ნომერი: რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი. მაგ კალოშების ზვინში-კალოში არის ნომერი მხოლოდ ოცდაათი.

არ ვიცი სწორედ — გემისთვის არის თუ ფეხებისთვის გაკეთებული? მოვდივარ, — ამბობს: „არა, არ არის!“. უკან ვბრუნდები გაწბილებული

თურმე იყიდე კალოში-გემი, ხჯობს — მხოლოდ ცალი, და არა წყვილად, ცხონება არის, ნაღდი ეღვამი — ჩაწევი შიგადა იძინე თბილად.





# მზადმზახა საახალწლო ღლოღ

ქართული

ახალი წლის მოახლოვებას თავისებური ცვლილება შექონდა კალისტროს ოჯახში. რაც უფრო ახლოვდებოდა იგი, იმდენათ იზრდებოდა კალისტროს და მისი ოჯახის წევრების მღელვარება.

— კალისტრო, საახალწლოთ იოლ-ვა ხომ უნდა ვიყიდოთ? — ეკითხება ცოლი.

— კარგი თუ ღმერთი გწამს, რა ბურჯუაზიული მანერებით ხარ აღჭურვილი.

— რატომ შე კაცო, თუ ჩვენმა მეზობლებმა იყიდეს, ჩვენ რაღა ვართ?

— მეზობლებს შე ვერ ვუყურებ. ხომ იცი, რამდენი მაქვს ჯამაგირი?

— იოლკა მინდა მამა..

— დედა, იოლკა გვიყიდოს მამამ.

— არ შერება გენაცვალე, ხომ იცი შაგის საჯიუტე?

— მინდა მე იოლკა.

— კი გინდა, მაგრამ არ იზამს ჯიუტი მამაშენი?

— აშკარა პროვოკაციაა. — აღშფოთებით ამბობს კალისტრო და მილის შობის ხის საყიდლად.

საღლატ განაპირა უბანში იგი შეხვდა ნაძვის პატარა ნერგებით მოვარჯირს, შეაჩენა 5 მანეთი და წამოვიდა.

— მოქალაქე, ეგ რა შიგაქეთ? — გაიხმა მილიციელს მრისხანე ხმა.

— კალისტროს თავში თითქოს ზაჰესის ელდენმა დაჰკრა და ფეხებამდე დაუარა.

— აა, შობის ხე გიყიდნათ. ძალიან სასიამოვნოა; ხომ იცით რომ აკრძალულია?

— არ ვიცოდი შენ არ მომიკვდე...

— უსათუოდ გიკოდიანებათ!

— არა, გეფიცებით...

— მაშ კომისარიატში წავიდეთ.

კალისტროს ათი მანეთი გადააბღიინეს ჯარიმის სახით, ხეც ჩამოართვეს.

— რა ქენი კაცო! არ გიყიდნია?

— ადამიანო, თავი დამანებე...

— არა, მართლა არ გიყიდია მამა?

— გარეთ ექნება შენახული და უცებ უნდა გაგეხაროს!...

კალისტრო სდუმს.

— კაცო, ხე თუ იყიდე, მოწყობილობა ვეიარ იყიდე? ხომ იცი როგორ უნდა გავაწყოთ?

— ჩაგივარდა ენა. ფული მოკტა, მე თითონ წაველ, ამბობს ცოლი, კალისტრო უამბობს ყველას შობის ხის ისტორიას.

— აბა, ბაზარში წავიდეთ, სურსათი ვიყიდოთ.

ბაზარში წავიდენ.

— რა ოირს ინდაური.

— ღორი.

— ბატი.

— ქათამი.

— იხვი.

— ადამიანო, გავიყიდე სულიანბორციანა! — თითქმის ტირილით

ამბობს შინაურ ფრინველებით დატვირთული კალისტრო

— არა, შენმა ძუემ, ჩვენმა მეზობლებმა ინდაურებით და ქათამებით რომ აავსეს სახლი, იმათ საცოხლად გავიზდი თავს.

კალისტრომ კარგი ხანია რაც წირვა გააოლუყვავა საკუთარ თანხას, და დაწესებულების ფულის ხარჯვას შეუდგა; რომელიც მას ფანელის შესაფუად ჰქონდა მიღებული

— აბა თაფლი და კაკალი ვიყიდოთ გოზნაყისთვის. ყველი, კაოქი... კობიაჯი, ხილი, თბილი, ტკბილეულობა, კობფეტები...

— ადამიანო... — ამბობს სასოწარკვეთილი კალისტრო.

— ხმა, კრინტი; თუ კაცი ხარ შენი ჯავრი კი მჭირს, შობის ხე დამიკაოზე.

იყიდეს ღვინოც.

სახლში რომ მოვიდენ ღამის 11 საათი იქნებოდა.

— ახლა ამას ყველაფერს ვაკეთებ უნდა, დატრიალდა ცოლი შვილებითურთ. ღონე მიზღარი კალისტროს კი ღოვინზე გაიშლართა.

— ანთეთ კერასინჯაც და პრინტსიც, მაყალიც გავაჩალოთ... ჩაქთი მოიტანეთ.

— ნავთი არ არის.

— ნავთი.

— არ არის.

— ვაი, ამ საათს.

მდგომარეობა მეტად სერიოზული შეიქნა. სწორედ ამ საპასუხისმგებლო მომენტში ნავთი აღარ იყო. უნაფრთ ტყუალი იყო რომელიმე ახალწელზე აყრთოდ და 1929 წლის ახალ წელზე ლაპარაკიც — კერძოდ.

ეს მოხდა ღაჩის 11 ნახ. საათზე. ნავთის სავაჭრაგები, ჩასაკვირველია, დაკეტილია.

— კალისტრო, შენ შეგიძლია ნავთის შოვნა.

— საიდან ქალო. — შეშფოთდა ოჯახის კაცი, რომელიც წინასწარ გრძნობდა, რომ ნავთის კრიზისის მთელი სიმძიმე მას დააწვებოდა თავზე.

— აბა, მოიფიქრე კარგად. კალისტროს ფიქრის თავი აღარ ჰქონდა. მისი ტვირის უჯრედები სრულიად უმოქმედოთ იყვნენ. ბოლოს ისეც ცოლმა მონახა გამოსავალი.

— თუ გასსოვს, თქვენი დაწესებულების შიკრიკს ყავს ცოლის ძმა, რომლის ბიძაშვილის ნათლიას ნავთის საღაჭრო აქვს. იქნებ პროტექციით რამე გამოვიდეს.

— ნო სოღელობ თუ ქალი ხარ, სად მოიპოვნო ამდენი ხალხი.

— ეს მე არ ვიცი. ვიცი მხოლოდ რომ შენ ნავთი უნდა მოიტანო. აბა, ბიღონი.

ბევრი იომა კალისტრომ, მაგრამ, ბოლოს იძულებული გახდა აედო ბიღონი და წასულიყო.

— რა ეშმაკმა მოიყვანა უნდასმისკა წელი!?. სა, მოენახო ახლა ის შერევენებული მენავთე...

შიკრიკი ავლბარში ცხოვრობდა. კალისტრო ვაკეზე. აქედან ხუთიოდე ვერსტი იყო შიკრიკამდე. ერთი საათის შემდეგ კალისტრო შიკრიკს მიადგა და დაუთკაუნა.

— ვინა ხარ ამ შუალამეს. — მოისმა ნამძინარევი ხმა.

— მე ვარ, შენი კალისტრო, მიშველე რამე.

შიკრიკმა გაულო კარი და აუხსნა, რომ მისი ბიძაშვილი, რომლის ნათლია ნავთით ვაჭრობს. ცხოვრობს დიდუბეში, დოღის ქუჩაზე.

კალისტრო ღასლასით გაუდგა გზას.

ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა დანიშნულ ადგილას მიადწია და შიკრიკის ბიძაშვილს აუხსნა თავისი გასაჭირი. ბიძაშვილი სიცილს ძლივს იმაგრებდა, როცა თავისი ნათლიის გზას ასწავლიდა. გამოირკვა, რომ ნათლია სოლოლაკის ზევითა ნაწილში ცხოვრობდა.

უკვე სამ საათზე მეტი იყო, როცა სიცივით შიწოჩებულმა ბიღონიანმა კალისტრომ ნათლიას დაუთკაუნა. მასპინძელი მეტად ვაკვირვა ასე თმა უჩვეულო სტუმრობამ მაგრამ მაინც შევიდა მის მდგომარეობაში და სამიოდე არაყის შემდეგ მინავთის გზა ასწავლა... კუკიის რაიონში.

მენავთე, რომელიც კალისტრომ 4 ნახივარ საათზე გააღვდა, მეტად მზიარული კაცი გამოდგა მანაც რამოდენიმე არაყი გადაჰკრა კალისტროსთან ერთად და ორივე ერთად, გაემგზავრენ ნავთის საწყობში, რომელიც ნამსლადეცში იყო მოთავსებული.

უკვე გათენდა, როცა კალისტროს სახლში დაბრუნდა.

— ვინა ხარ? — მოისმა ოთახიდან.

— მე იარ მე...

— რა გინდა?

— კარი გამიღე შე წყულო.

— რა მოგაქვს?

— რა მოგაქვს და შენი სიკვდილი...

ნავთის ბიღონი მოვიტანე.

— ნავთი არის შიგ?

— არის. არის.

— მაშ გადაისხი თავზე... რაღათ მინდა ნავთი ამ ახალ წელს?

— ქალო კარი გამიღე-თქვა გუუბნები.

— არა, არ გაგიღებ, სად დაეთრევი მთელი ღამე? ქალებში დაძვრებითი განა? წადი ახლა სადაც გენებოს!...

ერთი საათის დიპლომატიურ მოლაპარაკების შემდეგ კალისტრო უშვეს თავის ბიღონიო.

ეს დღე, ახალი წელი წვა-ხარშვა ბრაკაში გაატარა როგორც კალისტრომ, ისე მთელმა ოჯახმა.

აღლარ-აღლარხან.



# წინასწარ

ნახ. დონის.



**მღვდელი:** — ქალო, მინამ მუცელში გყავს შვილი, მოვნათლოთ, თორემ მერე „კომსომოლა“ გახდება!

## მესტვირული საახალწლო ღვინი

მე ვარ რაჭველი მესტვირი, ბევრგან ნათრევი, ნავალი; ახალ წელიწადს გილოცავთ, დაგასწროთ კიდევ მრავალი.

ღილით გულდა მოვიკადე, სტვირი მოვმართე სამლორად; თქვენი მტერი და თრგული მინდა რომ გავაცამტვერო.

პირველად მოვინახულე რაჭის ქალაქი, ონია; ცნობილი პურმარლითა, სუყველას გაუგონია.

ჯეჯვრის ხიდს როცა გადავცდი, ვნახე იქ მოედანია; ბურღილაძეებს ვესტუმრე, დამათვრეს ნამეტანა.

ხალხი განთქმული ზრდილობით, ვარ მათი თანამოგვარე; ვით სახლიაკი მიმიღეს, მიმიღეს როგორც მოყვარე.

ონში რომ მიველ, მომედვა, სამიკიტნოთა სუნია; ამდენი ლოთი ხალხი ჰყავს, არ ვარცა, დასაწუნია.

წაველ, აღმასკომს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო; თურმე ჭრებულოს წასულა, აქ მთებში დამალულიყო.

მაღალი კაცი შემომხვდა, პოტუა ხაზინდარი; თურმე ამისი ტრფობითა ქალებს გულს ცვივა დადარი.

დაულეველი არ რჩება ღვინის არცერთი ყლუპია; მისი იფრით მშვენიდება, სუფრა, თეატრი, კლუბა.

ავდექ, თავდაღმა წამოველ; მოვინახულე სორია; ჩაფიჭრებული მოწყენით იყო, ვით პროფესორია.

ერთი ახმაზი დამხვდა, პრისხანეთ ხელებს მიშვერდა; მითხრეს: ის არის ძველ დროში, ჩხუბში განთქმული ქიშვარდი.

სტვირის გულდაში ჩავბერე, ავთაბაშე თითები; ბევრი რამე მაქვს სათქმელი, ხმაო, ნუ გაიცვითები.

განვლე სკოდორა, ლუბუნია, შემხვდა სოფელი წესა; ყველამ მიმიღო ერთგულად როგორც რაგი და წესია.

პირველად მიველ ბარაკონს, ვნახე თამარის საყდარი; ვეკითხე: მღვდელი მაჩვენეთ, ან მამადავლე სად არის?

მღვდელს მინდა მიუსამიძრო, უთხრა „ცოდება“ ბევრია; მამადავლეს კი საესე დაქვს ღვინით უძირო ქვევრია.

შემდეგ წაველი ლუკასთან, განთქმული მიკიტანია; მაგრამ რა უნდა მოსთხოვო, მისთვის რა მაგიტანია?

ლადო ფოტხაძე შემომხვდა, ნამღვდლევია, ჭალაროსანი; შემდეგ ათასი ყმაწვილი, უწვევრულვანო, ქოსანი.

გზა სიარულმა დალია, სიბი ქვა წყლასა დენამა; რამდენი რამე უნდა სთქვას ჩემმა მოქნილმა ენამა.

ამბროლაური, კვაცხუთი, ვინ იცის, თუ ვინ სად მეღის? ყველაზე უფრო გულს უნდა, ნახოს ძვირფასა სადმეღია.

იქიდან მალე დავიძვრი, ვნახო სასწრაფოდ ხვანჭკარა; უხვი თამადა ყანწყებსა, დავგალევივინებს ჩქარ-ჩქარა.

აჰა, გამოჩნდა ჭრებულო, სახლები ახლად ნაგები; ყველა ზეიმით შემომხვდენ, ნაცნობი ამხანაგება.

მუდამ უამს მოუხვენარი, ტფილისს საქმეზე ნაზბენი, კმ! პირზე კოცნით შემომხვდა, მე წულიკითე პარმენი.

მოვმართე სტვირი, უმღერე, ლექსებუ ფერად-ფერადი, და ცალი თვლით აღმასკომს მე სიხარულით ვხვევრავდი.

იოგლივ თავს დამჩერებია, მთები მაღალი, ტყე ჩუმა; ვხარობ: რომ დაეკარწილეთ ჩვენი რაჭა და ლეჩხუმი.  
**რაჭველი მესტვირი.**



— წამოდი, მიცვალეული მიკურთხე!  
— სსს, ჩუმ დ, მე დიაკნობას თავი გ:ვანები და ხარაზობა დავიწვე.



ქ რ ი ს ტ ე ა მ ბ ო ბ დ

და: ქართული  
საბავშვო ჟურნალი  
ნაწ. სუსკიასძე.



„მიეცი კეისარსა კეისრისა,

ღმერთსა ღვთისა“..

და შენთვის არაფერი დაიტოვო.

ტ ა რ ტ ა რ ო ჯ ი ა მ ბ ო ბ ს:



კეისარსა და ღმერთს..

და შენ ყველაფერი გექნება.

მ ი მ ო წ ე რ ა

გაპარსულ და გაუპარსავ მღვდლებს

მამო ანტონ,  
მენდური რატომ?  
საყვედურს ამბობ,  
გადმომცა კატომ.

მე რომ გავიპარსე,  
ეს ხომ არ გწყენია?  
ერთ ღროს მეც მიყვარდა  
ღობი და წვენია!

მარა, ანტონ ჩემო,  
„ზედი ჩემი მტერია“.  
შემომაკლდა სარდა,  
გამიციედა კერიც.

რა მექნა არ ვიცოდი,  
ვიფიქრე ბევრია  
და გავიძრე ბოლოს  
ანაფორა ძველია!

უღალატე იესოს,  
გავიპარსე წვერია  
უღალატე სახარებას  
და რაც იქა სწერია.

ეხლა ასე დავალ,  
რა გქნა არ ვიცი;  
კუდათ ვარ იცოდე,  
რად გინდა ფიცო.

შამშილისგან, ძმომ,  
გამიხმა კუჭი;  
ცარიელ მუცელში  
არ ჩავა მუჭი.

შარვალი ჩემი  
ისე დასრულდა,—  
ფოლაქებს გადადგმა  
ღლეში სამჯელ უნდა.

ფოფოდის ცრემლი  
მისველებს უბეს;  
ტირისგან თვალი  
მიუთავს ღრუბელს.





# კოოპერატივიზმი

ქართული  
ბიზლირთქა

ნახ. დონის.

ზოგიერთ კოოპერატიულ სავაჭროში მუშტრებს არ აძლევენ საქონ-  
ლის არჩევისა და გასინჯვის საშუალებას.

(გაზეთებიდან).



— კაცო, ამოდენა რა იყიდე, რომ ძლივს მოათრევე!

— განა ვიცი რა არის შიგ? ორდერი წარვადგინე, ჩეკი გამომიწერეს, ფული გადავიხადე, ჩეკი მივუტანე, შემიხვიეს, შემიკრეს, და მომაჩეჩეს. გახსნაც კი მეშინია ამ ქუჩაში, — რა ვიცი შიგ რა არის!

გებრალეზი მარა  
ქე რა ქნას მეტი?!  
დარდოსგან მოღის  
ბატივით რეტი;

### პასუხი

ყოფილო მამაო,  
ძვირფასო ეფრემ!  
მივიღე წერილი,  
(გადმომცა ფეფემ).  
გაგინე ბევრი, —  
მოგყევი ბოდვას,  
მაგრამა თურმე  
ვიდენდი ცოდვას.  
ეხლა კი უკვე  
წაგბადო მინდა  
ასეთი ყოფა  
ძალზე მომწყინდა.  
მაგრამ, როგორც ვქნა  
მიტხარი ერთი,

როცა ჩემს ყოფას  
არ ხედავს ღმერთი.  
შენსავეთ გავიდობდი  
ამ ანაფორას, მაგრამ  
ანაფორის ქვეშ, ძმაო,  
საქმე არა მაქვს მაგრად:  
ქვეშ არ მაცვია „იგი“  
და ზემოთ არც შარვალი...  
(გამძვრება ანაფორა  
და, ვაი, ჩემი ბრალი!)  
და ანაფორა  
გამძვრება რა უამს, —  
დავევგმევანები  
ნამდვილად ადამს!  
მეორე — შენი  
ცოლი — ფოფოლია  
ჩემსას არა გავს,  
ისეთ როდია?!  
მაგ შენთან არის  
ლხინში და ჭირში  
და არც ამოგკრავს

მუშტუქუნს ცხვირში.  
ჩემი ფოფოლი  
გაიქცა სხვასთან!  
მე დავრჩი მარტო  
ის ცხოვრობს მასთან!  
მომშივდა ერთხელ,  
მეტეკა ბნელა,  
აქ ჩემ რძალს ვეცი,  
იქ ნათლიდედას!  
მაგრამ სუყველამ  
მაქციეს ზურგი  
და ცარიელი  
უკან დავბრუნდი.  
ხანდიხან მაქმევს  
ის მადლიანი  
ჩემი ფოფოდის  
მეორე ქმარი.  
დავდგავარ ისე,  
როგორც ნავაზი,  
რომ გავიბარსო  
არ მაქვს აბაზი!

ყვავიკვა.



